

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს  
მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარეს  
ქალბატონ რუსუდან (ნატა) იმედაიშვილს  
მრჩეველთა საბჭოს წევრების: გიგა ჩხარტიშვილის და ირაკლი დარცმელიძის

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 35<sup>11</sup> მუხლის შესაბამისად უნდობლობას ვუცხადებთ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორს - ნათია კაპანაძეს და გთხოვთ, მოიწვიოთ მრჩეველთა საბჭოს სხდომა დირექტორისთვის უნდობლობის გამოცხადების დღის წესრიგით.

(დანართი 15 გვერდი)

პატივისცემით

გიგა ჩხარტიშვილი



ირაკლი დარცმელიძე



10.04.2019

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო 245675880
შემოსული № 02-19/789
N "10" 04 20 19

## დანართი

### სატელევიზიო რეიტინგების/ნდობის კლება

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სამაუწყებლო მიზნების მისაღწევად აუცილებელია ორგანიზაციას ჰყავდეს მაყურებელი და მას შეეძლოს რაც შეიძლება დიდი აუდიტორიის მოცვა. დღევანდელი მენეჯმენტის პირობებში ტელევიზიის მაყურებლების რაოდენობა 2016 წელთან შედარებით განახევრებულია (2016 წელს საშუალოდ 2765 მაყურებლიდან წუთში ჩამოსულია 1417 მაყურებლამდე წუთში, კლება არის 50 %-ზე მეტი), რაც თანამედროვე კონკურენტულ გარემოში ნიშნავს ლოიალური აუდიტორიის კარგვას და მაუწყებლის ბრენდის მიმართ ნდობის კლებას. იმედგაცრულებული მაყურებლის ნდობის ხელახლა მოპოვება კი ურთულესი ამოცანაა. იმის გათვალისწინებით, რომ მაუწყებლის ბიუჯეტი წლიდან წლამდე მზარდია (მიბმულია ქვეყნის მშპ-ზე და 2019 წელს ბიუჯეტის პარამეტრები თითქმის 9 მილიონი ლარით განისაზღვრა) და მაუწყებელს გააჩნია ყველა საჭირო - ფინანსური, ადამიანური და ტექნიკური რესურსი წარმატების მისაღწევად, დასმული ამოცანების ეფექტიანად გადასაჭრელად და ბაზრის წილის და შესაბამისად აუდიტორიის რაოდენობის გასაზრდელად, არასწორი, არაპროფესიონალური და არაეფექტური მართვის გამო მოხდა მისი პოზიციების შესუსტება ბიუჯეტის ზრდის პარალელურად. შედეგად, მაუწყებელი 2016 წელს საერთო სამაუწყებლო სივრცეში მე-8-ე პოზიციიდან 2019 წელს მე-16-ე პოზიციაზე აღმოჩნდა. საზოგადოების მიერ მაუწყებელზე დახარჯული სახსრები, მათი არასწორად, არაეფექტურად და არაპროფესიონალურად განკარგვის გამო არის სრულიად არაპროპორციული იმ შედეგისა რასაც საზოგადოება სანაცვლოდ ღებულობს.

### პრიორიტეტების შეუსრულებლობა

საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, მაუწყებლის მრჩეველთა საბჭო ყოველწლიურად შეიმუშავებს სამაუწყებლო პრიორიტეტებს რადიოსა და ტელევიზიისთვის. მრჩეველთა საბჭოს მიერ მაუწყებლის დირექტორის დაქირავება ხდება პრიორიტეტების და მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მე-16-ე მუხლით გათვალისწინებული შინაარსობრივი ვალდებულებების შესასრულებლად. მრჩეველთა საბჭოს მიერ განსაზღვრული პროგრამული პრიორიტეტების შესრულება დირექტორის მიმართ ნდობის გამოხატვის ერთ ერთი პირობაა. 2018-2019 წლის პროგრამული პრიორიტეტები მრჩეველთა საბჭომ მიიღო 2018 წლის 2 ივლისს. 2019 წლის ივლისამდე 3 თვით ადრე ტელევიზიის სამაუწყებლო ბადეში არ არის ასახული პროგრამული პრიორიტეტებით განსაზღვრული გადაცემები და თემები. პრიორიტეტების დოკუმენტის მიღების თითქმის 1 წლის თავზე მაუწყებლის დირექტორმა ვერ შეძლო პრიორიტეტებით გამოყოფილი და ხაზგასმული ისეთი

მიმართულებების გადაცემების მომზადება და გაშვება, როგორებიცაა: საბავშვო მიმართულების გადაცემა. საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი დოკუმენტური ფილმები; განათლების მიმართულების გადაცემა; ახალგაზრდული და გასართობი პროექტები. ამ მიმართულებით აღსანიშნავია, რომ მრჩეველთა საბჭომ მხარი არ დაუჭირა მაუწყებლის დირექტორის მიერ წარმოდგენილ 2019 წლის ბიუჯეტის პროექტს, სადაც არ იყო ცალკე გამოყოფილი განათლების და თვითმმართველობის მიმართულებების გადაცემები, შესაბამისად, საბჭომ თავისის უფლებამოსულების ფარგლებში ცვლილება შეიტანა ბიუჯეტის პროექტში და ცალკე გამოყო ამ მიმართულების გადაცემები, რითიც ხაზი გაუსვა მათი შესრულების აუცილებლობას. სამწუხაროდ, პრიორიტეტების შესრულების თვალსაზრისით იკვეთება მენჯმენტის ზერეულე და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება

### კომუნიკაციის შესაძლებლობის შეზღუდვა

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო დირექტორმა 2018 წლის 17 იანვრის 02-19/128 წერილით მრჩეველთა საბჭოსთან გამოთქვა შეშფოთება, რომ მაუწყებლის თანამშრომლები კომუნიკაციაში იმყოფებოდნენ მრჩეველთა საბჭოს წევრებთან, ამავე კორესპონდენციაში მოყვანილია დირექტორის შეფასება, რომ თანამშრომლები ხშირად იკრიბებიან მრჩეველთან დირექტორის ნებართვის გარეშე და გამოთქმულია პრეტენზია, რომ ეს ქმნის კრიზისებს და საფრთხეს უქმნის მაუწყებლის საქმიანობას.

აღნიშნული ქმედებით მაუწყებლის დირექტორი სრულიად გასცდა საკანონმდებლო უფლებამოსილების ფარგლებს და იმის ნაცვლად, რომ თავად ყოფილიყო მაღალი სამოქალაქო და პროფესიული პასუხისმგებლობის მაგალითი, ნებისმიერი ფორმით დაეცვა სტყვის, აზრის და იდეის გამოხატვის და ურთიერთგაცვლის თავისუფლება, აღმოჩნდა ამ თავისუფლების შეზღუდვის ინიციატორი. სრულიად მიუღებელი და დაუშვებელია რაიმე სახით ადამიანებს აუკრძალო და შეუზღუდო ერთმანეთთან კომუნიკაციის, შეკრების და აზრების ურთიერთგაცვლის შესაძლებლობა და თავისუფლება. ასეთი შესაძლებლობა არის თავისუფალის საზოგადოების შექმნის წინაპირობა. საზოგადოებრივი მაუწყებელი ამ პრინციპის დაცვის სადარაჯოზე უნდა იდგეს, ხოლო თავად მაუწყებელში აზრების და იდეების გაცვლის შესაძლებლობის შეზღუდვა არის ჩვეულებრივი საბჭოთა სტანდარტის მიდგომა და ასეთი სტანდარტით მაუწყებლის დირექტორის ქცევა ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეას და პრინციპებს. თუ ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლები ვერ ახერხებენ საკუთარი ფუნდამენტური უფლებების დაცვას, რასაკვირველია ისინი ვერ მოახერხებენ მოქალაქეების უფლებების დაცვასაც, რასაც უნდა ემსახურებოდეს კიდევ საზოგადოებრივი მაუწყებლობა.

## საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა

საზოგადოებრივი მაუწყებელი ფინანსდება საზოგადოების მხრიდან და შესაბამისად საჯარო ფინანსების ხარჯვა უნდა მოხდეს ყველაზე მაღალი გამჭვირვალობის და ეფექტურობის სტანდარტით. სამწუხაროდ, მაუწყებლის დირექტორის საჯარო ფინანსებთან დამოკიდებულება არ იმსახურებს არავითარ ნდობას. მაუწყებლის ბიუჯეტი, რომელიც მტკიცდება მრჩეველთა საბჭოს მიერ მაუწყებლის მიერ მოთხოვნილი ხარჯების შესაბამისად, წარმოადგენს იმ დათქმას და პირობას, რომლითაც საზოგადოებამ მიანდო საჯარო ფინანსები მენჯმენტს. მაუწყებლის დირექტორის გადაწყვეტილებით ხშირად ხდებოდა საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა, რაც ნიშნავს იმას, რომ საჯარო ფინანსების მიმართ მას აქვს უპასუხისმგებლო დამოკიდებულება. მაგალითისთვის შეიძლება მოყვანილი იქნას 2017 და 2018 წელს ბიუჯეტში არსებული მუხლი, რადიოს ინტერნეტით გავრცელებისთვის გამოყოფილი 85 ათასი ლარის ფარგლებში, რომელიც გახარჯული იქნა სულ სხვა მიზნობრიობით და ამით აცდენილი იყო ბიუჯეტის მიზნობრივ ხარჯვასთან. ასევე ხშირად ხდებოდა, რომ სახელმწიფო შესყიდვებით გათვალისწინებული სამუშაოები შესყიდული იყო შრომის ანაზღაურების მუხლით რაც წარმოადგენს ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვას. ასეთი დამოკიდებულება საჯარო ფინანსების და საჯარო ფინანსების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიმართ არის სრულიად დაუშვებელი და მიუღებელი. იმის ნაცვლად, რომ მაუწყებელი ქმნიდეს სტანდარტს ამ მიმართულებით, ყველაზე მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს აღნიშნულ საკითხებს, უფრო მეტიც, შეასრულოს მაკონტროლებლის ფუნქცია, რათა სხვა საჯარო დაწესებულებებმა სწორად და მიზნობრივად განკარგონ საჯარო ფინანსები და წარმოაჩინოს შესაძლო გადაცდომები, ხდება სრულიად საპირისპირო - მაუწყებლის დირექტორი თავად იჩენს უკიდურეს გულგრილობას საჯარო ფინანსების მიზნობრივად განკარგვაში და ამით ჩრდილს აყენებს მაუწყებლის მიმართ ნდობას მისი ძირითადი სამაწუყებლო ამოცანების შესრულებისას.

## დაუსაბუთებელი ხარჯები

საჯარო ფინანსების გაუმჭვირვალედ და უპასუხისმგებლოდ ხარჯვის ნათელი გამოვლინებაა მაუწყებლის ბიუჯეტიდან სრულიად დაუსაბუთებელი ხარჯების გაწევა. ეს არის ისეთი ტიპის ხარჯვა, რომლის აუცილებლობა არ არსებობდა და რომლის შედეგი არის გაურკვეველი და დაუსაბუთებელი და ის სრულიად აცდენილია მაუწყებლის ამოცანების შესრულებას. დაუსაბუთებელი ხარჯების ნათელი მაგალითია შრომითი კონტრაქტები სხვადასხვა მოქალაქესთან (ს.გ ; ბ.კ ; გ.ბ ) რომელთანაც გაფორმებული ხელშეკრულებების სანაცვლოდ მიღებული სარგებელი მაუწყებლისთვის არის სრულიად დაუსაბუთებელი და საეჭვო, ხოლო ზოგიერთი ხელშეკრულება კი გაფორმებული უნდა ყოფილიყო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის დაცვით რაც არ მომხდარა. ამავე

ხარჯვის კატეგორიაში გადის სამუშაო შეხვედრა ერთ ერთ სასტუმროში , სადაც ალაფურშეტის ჩათვლით სამუშაო შეხვედრის გამართვის და ამ მიმართულებით თანხების ხარჯვის არავითარი სამართლებრივი და საოპერაციო აუცილებლობა არ არსებობდა. მაუწყებელს მრავლად აქვს განკარგვაში სივრცეები სადაც შესაძლებელი იყო მსგავი რუტინული სამუშაო შეხვედრის გამართვა.

## უტენდერო შესყიდვები

მაუწყებლის მენეჯმენტისგან საჯარო ფინანსების მიმართ კანონის ნორმების სრული აცდენით ხარჯვის კიდევ ერთი გამოვლინებაა სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლოთ გათვალისწინებული ნორმების გვერდის ავლით სამუშაოების შესყიდვა, რომლებიც ცალსახად ხვდებოდა სახელმწიფო შესყიდვის კატეგორიებში. სრულიად დაუშვებელი იყო სტუდიების დამზადების, სტუდიების რემონტის და მაუწყებლისთვის საკონსულტაციო მომსახურების შეძენა შრომითი კონტრაქტებით. მაგალითად, სრულიად გაურკვეველი და დაუსაბუთებელია რატომ შევიდა დირექტორი ცალკე შრომით ურთიერთობაში მაუწყებლის საშტატო თანამშრომელთან , რომელსაც ცალკე კონტრაქტით დაევალა სტუდიის რემონტი, მაშინ როდესაც გაურკვეველია რა მოცულობის სამუშაო იყო შესასრულებელი, რა მასალების შესყიდვით და გამოყენებით და რა კვლევაზე დაყრდნობით შეფასდა ეს სამუშაოები. ანალოგიური პრინციპით არის შეძენილი სხვა სტუდიების მოწყობა - რემონტების შესასრულებელი სამუშაოები, რომლებიც შრომითი კონტრაქტების ნაცვლად სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის სრული დაცვით უნდა განხორციელებულიყო. სარემონტო სამუშაოების გარდა, არის მთელი რიგირ საკონსულტაციო მომსახურებები, რომლებიც შრომითი კონტრაქტების ნაცვლად შესყიდული უნდა ყოფილიყო სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის სრული დაცვით, უფრო მეტიც, იდენტური მომსახურებები სხვადასხვა პირისგან შეძენილია სხვადასხვა ფორმით- ერთგან შრომითი კონტრაქტით და მეორე შემთხვევაში კი სახელმწიფო შესყიდვით. ამავე კატეგორიაში გვხვდება ფულადი სახსრების ხარჯვა, რომელიც არათუ შრომითი კონტრაქტით უნდა ყოფილიყო შეძენილი, არამედ მისი მოცულობიდან გამომდინარე ითვალისწინებდა ტენდერის ფორმით შესყიდვას, რაზეც თავი იყო არიდებული. მსგავსი ტიპის დამოკიდებულება ორგანიზაციის ფინანსების მიმართ არ ხდება კერძო სამართლის იურიდიულ პირებში არათუ მაღალი ლეგიტიმაციის და ნდობის მქონე საზოგადოებრივ მაუწყებელში. აღნიშნული შემთხვევები, რომლებიც მრავლადაა მაუწყებელში , შეიძლება შეფასდეს, როგორც საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ ხარჯვად ისე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის უგულველყოფად.

## განმეორებითი , პარალელური შესყიდვა

საჯარო ფინანსებში უკიდურესად უპასუხისმგებლო დამოკიდებულება იკვეთება იმ ფაქტშიც, რომ მაუწყებლის დირექტორმა სრულიად იდენტური მომსახურება ,

რომელიც მაუწყებელს შეძენილი ჰქონდა ტენდერის წესით, განმეორებით, სხვა, კონკურენტი მომწოდებლისგან შეიძინა პირდაპირი შესყიდვის წესით. 2017 წლის 24 თებერვალს, ტენდერის წესით შეძენილი იქნა მომსახურება საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის, სატელევიზიო გადაცემების ყურებადობის / რეიტინგების მოწოდების თაობაზე. მას შემდეგ რაც გაირკვა, რომ მომწოდებელი კომპანიის მონაცემები აჩვენებდა სავალალო სურათს, მაუწყებლის დირექტორმა 2017 წლის 21 ივნისს პირდაპირი შესყიდვის წესით შეიძინა ანალოგიური მომსახურება უკვე სხვა კომპანიისგან, რომლის მონაცემები ნაკლებად მძიმე სურათს ასახავდა ტელევიზიის ყურებადობის თვალსაზრისით. სრულიად დაუშვებელია მსგავს დისკრიმინაციულ მდგომარეობაში მომწოდებელი კომპანიების ჩაყენება, როდესაც ერთს უწევს კონკურენტულ გარემოში გაიმარჯვოს ტენდერში, ხოლო მეორე, გარკვეული ბიუროკრატიული შეხედულებებიდან გამომდინარე პირდაპირი წესით აფორმებს კონტრაქტს. ამავე დროს, მაუწყებელს უკვე ჰქონდა ნაყიდი და ყოველდღიურად მიეწოდებოდა ის სერვისი, რომელიც ხელახლა შეძენილი იქნა განმეორებით. დაუშვებელია, რომ მთვლელების მონაცემები იყოს სრულიად აცდენილი და საქმიანობისას გამოიყენო ყველა მოწოდებული მონაცემი. თუკი ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მონაცემები არ იმსახურებდა ნდობას, მაშინ აღნიშნულ სერვისში არ უნდა ყოფილიყო გადახდილი საზოგადოების ფული, და თუკი ეს თანხები გადახდილი იყო, მაშინ სახელმძღვანელო სწორედ ეს მონაცემები უნდა ყოფილიყო, მიუხედავად იმისა, თუ რაოდენ სავალალო სურათს არ უნდა იძლეოდეს ის. აღნიშნული შესყიდვის კატეგორია სწორედ რომ დაუსაბუთებელ და არამიზნობრივად გახარჯული თანხების კატეგორიაში გადის.

### ინტერესთა კონფლიქტი შესყიდვებში / უშედეგო შესყიდვა

მაუწყებლის დაფუძნების დღიდან მუდმივად მიდიოდა მუშაობა ტელევიზიისა და რადიოს სტრუქტურულ მოწყობაზე, რომელიც მორგებული იქნებოდა მაუწყებლის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრაზე. 2016 წელს ამ მხრივ გატარდა რეფორმა და ერთ-ერთმა კომპანიამ მაუწყებელს გაუწია სტრუქტურული მოწყობის კონსულტაცია და უსასყიდლოდ მიაწოდა ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტი. 2016 წელს მაუწყებლის ამჟამინდელმა დირექტორმა და მაშინ დირექტორობის კანდიდატმა დირექტორად არჩევისას პირობა დადო, რომ იმუშავებდა აღნიშნული სტრუქტურით და დაადასტურა რომ მაუწყებლის მოქმედი სტრუქტურა ეფექტურია. 2017 წელს, უკვე დირექტორად არჩევის შემდეგ, იმავე კომპანიისგან, რომლის დამფუძნებელი წარსულში მაუწყებლის დირექტორის ბიზნესპარტნიორი იყო და რომლის მოწოდებულმა სტრუქტურის პროექტმა არ გაამართლა, პირდაპირი შესყიდვის წესით შეიძინა სტრუქტურული რეფორმის და სტრატეგიის დოკუმენტი. აღნიშნული შეძენილი მომსახურების შედეგების რეალიზაცია არ მომხდარა, შესაბამისად მაუწყებელს არ მიუღია არავითარი სარგებელი ამ შესყიდვიდან, რომ არაფერი ვთქვათ ინტერესთა კონფლიქტის არსებულ კომპონენტზე. ეს შესყიდვაც

მიუთითებს არამიზნობრივ და უშედეგო ხარჯვაზე რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის სტანდარტისთვის არის დაუშვებელი.

## ევროპის მაუწყებელთა კავშირთან (EBU) სამართლებრივი დავა

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს განვითარებისთვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია ევროპის მაუწყებელთა კავშირთან (EBU) მჭიდრო თანამშრომლობა და პერსპექტივაში კავშირში წევრობა. სრულიად მიუღებელია საზოგადოებრივი მაუწყებლის იმიჯის რაიმე ფორმით შელახვა, მითუფრო ისეთ ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციასთან როგორც არის ევროპის მაუწყებელთა კავშირი. შერყეული ნდობა აფერხებს, თუ სრულიად არ ამუხრუჭებს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შემდგომ განვითარებას. 2017 წლის 6 ივლისს გაიმართა საფეხბურთო მატჩი ბათუმის დინამოსა და პოლონურ ბიალისტოკს შორის პოლონეთში. მატჩის სატელიტური სიგნალის მიწოდება უზრუნველყო ევროპის მაუწყებელთა კავშირმა (EBU). სამწუხაროდ მაუწყებლის დირექტორმა არ უზრუნველყო მომსახურების დავალიანების ანაზრაურება. გამოჩენილი უპასუხისმგებლო და გულგრილი დამოკიდებულების შედეგად, მაუწყებელს გაუჩნდა ევროპის მაუწყებელთა კავშირის აუნაზღაურებელი ვალი, რომლის დასაფარად კრედიტორმა ორგანიზაციამ მიმართა სამართლებრივ გზას და აჭარის ტელევიზიას და რადიოს სასამართლო დავით დაემუქრა. გარდა ძირითადი დავალიანებისა მაუწყებელს მოუხდა მომსახურების აუნაზღაურებლობით გამოწვეული ხარჯების დაფარვა. დირექტორმა თავისი არაპროფესიონალური და გულგრილი დამოკიდებულებით ევროპის მაუწყებელთა კავშირს არ გადაუხადა დავალიანება რის გამოც საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა დამატებითი ხარჯი და იმიჯი შეელახა ევროპის მაუწყებელთა კავშირის წინაშე.

## დისკრიმინაციული და უსამართლო ანაზრაურების სისტემა

ნებისმიერი ორგანიზაციის წარმატებით ფუნქციონირებისთვის აუცილებელია, რომ დაქირავებული პერსონალის შრომის ანაზღაურების სისტემა და განაწილების პრინციპი იყოს სამართლიანი და არადისკრიმინაციული. 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას, მრჩვეელთა საბჭომ გაითვალისწინა რა აჭარის ტელევიზიასა და რადიოში არსებული შრომის ანაზღაურების არასწორი და არაპროფესიონალური პრაქტიკა, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით მაუწყებლის შრომის ანაზღაურების მოცულობა გაზარდა 900 ათასი ლარით იმ

პირობითა და დათქმით, რომ მაუწყებლის მენჯმენტი შრომის ანაზღაურების ნაწილში შეიმუშავებდა საჯარო ფინანსების გამჭვირვალედ, სამართლიანად და პროფესიონალურად განაწილების პრინციპებს და მოხდებოდა უთანასწორობის და უსამართლო განაწილების კორექცია. ამ დათქმით სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2019 წლის ბიუჯეტი. შესაბამისად, ამ მუხლის ხარჯვის ზემოაღნიშნული პირობა უნდა ყოფილიყო დაცული.

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორმა , ცალმხრივად, თავისი შეხედულებით, სრულიად უსამართლო და დაუსაბუთებელი პრინციპით, მრჩეველთა საბჭოსთან შეუთანხმებლად და საბიუჯეტო პირობის დარღვევით, არასაშტატო პოზიციებზე დასაქმებულ პირებს გაუზარდა ხელფასი ერთიანად ყველას 10 % ით, რითიც არათუ შეამცირა უსამართლო განაწილების წესი, არამედ პირიქით, კიდევ უფრო გაზარდა აღნიშნული უსამართლობა. საშტატო თანამშრომლების შრომის ანაზღაურების პროექტი კი იგივე, უსამართლო განაწილების პრინციპით წარუდგინა მრჩეველთა საბჭოს, რაზეც მრჩეველთა საბჭომ უთხრა დასაბუთებული უარი და მოუწოდა დირექტორს სამართლიანად გაენაწილებინდა შრომის ანაზღაურების ფონდში არსებული თანხები. აღსანიშნავია, რომ არასაშტატო თანამშრომლებზე ცალმხრივად და ერთპიროვნულად , საკუთარი შეხედულებით ხელფასების მატება წარმოადგენს საბიუჯეტო ხარჯვის პირობის დარღვევას და ანალოგიური შემთხვევა მკვეთრად ნეგატიურად არის შეფასებული საზოგადოებრივი მაუწყებლის აუდიტორული შემოწმების ანგარიშში. დირექტორის მოქმედების შედეგად, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლების ნაწილს მოემატათ შრომის ანაზღაურება (უსამართლო პრინციპით) , ნაწილი კი დარჩა შრომის ანაზღაურების მომატების გარეშე რამაც მოახდინა მაუწყებლის გუნდის შემდგომი დეზინტეგრაცია და გაყოფა. მრჩეველთა საბჭოს არაერთი მცდელობის მიუხედავად, დირექტორმა არ გაითვალისწინა ის რეკომენდაციები, რომელთა შესრულების შემთხვევაში მრჩეველთა საბჭო მზად იყო დაემტკიცებინა საშტატო თანამშრომლების შრომის ანაზღაურების პროექტი. 2016 წელს მაუწყებლის დირექტორობის კანდიდატის სამოქმედო პროგრამის შემადგენელი ნაწილი სწორედ სამართლიანი სახელფასო ანაზღაურების სისტემის დანერგვა იყო და შედეგად 2019 წლის მარტში, დირექტორის უფლებამოსილების ვადის მიწურულს, აღნიშნული პირობა ჯერ კიდევ არ არის შესრულებული, უფრო პირიქით, ამ თვალსაზრისით გაზრდილია უსამართლობის ხარისხი. არსებითად მნიშვნელოვანია სახელფასო ანაზღაურების სისტემა იყოს გამართული, გამჭვირვალე, პროფესიონალური და სამართლიანი, რათა საჯარო ფინანსების ხარჯვა მოხდეს სამართლიანად და ეფექტურად, ხოლო მიღებული შედეგი იყოს ხარჯვის პროპროციული. დირექტორი მრჩეველთა საბჭოსთან კორესპონდენციაში თავად უთითებს, რომ მაუწყებელში მოქმედებს უსამართლო ანაზღაურების სისტემა და სრულიად უპასუხისმგებლოდ უკავშირებს ამ ანაზღაურების სისტემის გამართვას ორგანიზაციის სტრუქტურულ კორექციას. უფრო მეტიც, შრომით ხელშეკრულებებში, არსებული ჩანაწერი, რომლითაც დირექტორს ცალმხრივად შეუძლია შეცვალოს შრომის ანაზღაურება



არის სრულიად კაბალური და არათანაბარ პირობებში ამყოფებს მაუწყებელში დასაქმებულ თანამშრომლებს მენეჯმენტთან, რაც მენეჯმენტის მხრიდან შესაძლებელია გამოყენებული იქნას განსხვავებული აზრის მქონე და მენეჯმენტის არალოიალური თანამშრომლების საკონტროლებლად და სამართავად. მსგავსი ჩანაწერი და ანაზრაურების პრაქტიკა მიუთითებს მართვის დაბალ და არაპროფესიონალურ სტანდარტზე და არის შრომითი უფლებების დარღვევის წინაპირობა.

### სამართლო დავები უკანონოდ გათავისუფლებულ თანამშრომლებთან / სამსახურებრივი რესურსების პირადი მიზნებით გამოყენება

2017 წლის მარტში, მაუწყებლის დირექტორმა, სამსახურიდან გაათავისუფლა მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის უფროსი ი.ბ., გათავისუფლების სამართლებრივი პროცედურების წარმართვისას, დირექტორმა მოსთხოვა აღნიშნულ თანამშრომელს ემტკიცებინა საკუთარი უდანაშაულობა, რაც კანონით გათვალისწინებული სტანდარტის დარღვევაა (რაც დადასტურებულია სასამართლო გადაწყვეტილებით). მაუწყებლის დირექტორმა გათავისუფლებულ თანამშრომელს საკუთარ ინტერესებში მაუწყებლის რესურსების და ტექნიკის გამოყენება დასდო ბრალად. 2019 წელს, გათავისუფლებულმა თანამშრომელმა მოიგო სასამართლო დავა და მაუწყებელს მის სასარგებლოდ დაეკისრა 54 ათასი ლარის გადახდა, ამავე დროს, მაუწყებლის მხრიდან გადახდილი იქნა სასამართლო დავის ბაჟი, რომელმაც სოლიდური თანხა შეადგინა. სასამართლომ დაადასტურა, რომ თანამშრომლის გათავისუფლება მოხდა უსამართლოდ და შრომითი კანონმდებლობის დარღვევით. მაუწყებლის დირექტორის გადაწყვეტილების გამო, საზოგადოებამ დამატებით უნდა გადაიხადოს 60 ათას ლარამდე თანხა, რაც არის მძიმე ფინანსური ტვირთი ორგანიზაციისთვის. აღნიშნული საქმის წარმოების დროს, დირექტორმა მისი პირადი ადვოკატის მომსახურების მიზნით გამოიყენა ორგანიზაციის რესურსები და გააკეთა ზუსტად ის, რაშიც თავად სდებდა ბრალს გათავისუფლებულ თანამშრომელს. მიუხედავად მრჩეველთა საბჭოს მხრიდან დაჟინებული მოთხოვნისა, დირექტორმა ვერ დაადასტურა მისი აღნიშნული ქმედების სამართლებრიობა და მრჩეველთა საბჭოს 2018 წლის 15 ოქტომბრის სხდომაზე თქვა ტყუილი, თითქოს დირექტორის პირად ადვოკატს მაუწყებელთან ჰქონდა გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება. მსგავსი ხელშეკრულება დირექტორმა ვერ წარმოადგინა, რითიც დაადასტურა მის პირად ინტერესებში მაუწყებლის ტექნიკური რესურსების გამოყენების ფაქტი. უფრო მეტიც, იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის უფროსის მხრიდან მაუწყებლის დირექტორისთვის მიწერილი წერილით ირკვევა, რომ მოდავე მხარემ (ი.ბ) სასამართლო პროცესზე წარმოადგინა დოკუმენტები, რომლებიც მეტყველებდა მის უდანაშაულობაზე, ხოლო იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის უფროსი, დირექტორისგან მაუწყებელში დაცული იმ დოკუმენტების დამალვის შესაბამისი ღონისძიებების გატარებისკენ მოუწოდებს, რომლებიც უკანონოდ გათავისუფლებული თანამშრომლის სასარგებლო

ინფორმაციას შეიცავდა. სრულიად წარმოუდგენელი და დაუშვებელია, რომ მაუწყებელში დაცული იყოს რაიმე დოკუმენტაცია, რომელიც, არათუ თანამშრომლის არამედ ნებისმიერი მოქალაქის უდანაშაულობას ამტკიცებდეს და მაუწყებლის მენეჯმენტი ფაქტების და მტკიცებულებების მიჩქმალვით იყოს დაკავებული. სამწუხაროა, რომ უკანონოდ გათავისუფლებული თანამშრომლის სასარგებლოდ არსებული არგუმენტები ცნობილი იყო მენეჯმენტისთვის და ის მაინც ჯიუტად აგრძელებდა უკანონო სამართლებრივ დავას.

მაუწყებელი მოწოდებული უნდა იყოს იმისკენ, რომ დაიცვას ყველა მოქალაქის ყველა უფლება, არათუ თავად ზღუდავდეს და ართმევდეს რაიმე უფლებას საკუთარ თანამშრომლებს. აღნიშნული ფაქტი ძირს უთხრის მაუწყებლის მიმართ ნდობას და მის შინაარსობრივ გამართულობას.

### სამართლებრივი პროცედურების დარღვევით გაფორმებული ხელშეკრულებები

მაუწყებლის დირექტორმა მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის 11 იანვრის სხდომაზე განუცხადა, რომ მიმდინარეობდა მოლაპარაკება ერთ-ერთ მოქალაქესთან მაუწყებელში მისი დასაქმების თაობაზე, 2019 წლის 15 იანვარს კი დირექტორმა მრჩეველთა საბჭოს აცნობა აღნიშნული მოლაპარაკებების დასრულების თაობაზე და მაუწყებლის გუნდში დასაქმებული პირიც დაუსახელა. გამოთხოვილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ აღნიშნულ პირთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2019 წლის 9 იანვარს, ხოლო ხელშეკრულება ძალიანია 2019 წლის 1-ლი იანვრიდან. შესაბამისად შრომის ანაზრაურებაც ამ თანამშრომელთან მოხდა აღნიშნული თარიღიდან. სრულიად დაუშვებელია რაიმე ტიპის ხელშეკრულება ან შეთანხმება გაფორმდეს წინა რიცხვით და მითუფრო მას მიეცეს უკუძალა, ეს წარმოადგენს სამართლებრივი ნორმების უხეშ დარღვევას და არავის, მათ შორის არც საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორს, ამის უფლება არ აქვს. სამწუხაროა, რომ მსგავსი მიდგომა და პრაქტიკა ძალიან მძიმე ფონს ქმნის მაუწყებლის სამართლებრივად ფუნქციონირების თვალსაზრისით და მომავალშიც მძიმე ტვირთად დააწვება ტელევიზიისა და რადიოს იმიჯს. ასეთი ფაქტები მიუთითებს მაუწყებლის სამართლებრივ ჩარჩოში ფუნქციონირების მიმართ დირექტორის არაპროფესიონალურ და გულგრილ დამოკიდებულებაზე.

### ინსტიტუტების და ნორმების უგულველყოფა

დირექტორის მხრიდან ხშირად ხდება კანონმდებლობით დადგენილი ნორმების და ინსტიტუტების უგულველყოფა რაც მცდარი და არასამართლებრივი მიდგომაა. არის შემთხვევები, როდესაც ხდება დირექტორის მხრიდან მის კომპეტენციაში და უფლებამოსილებას აცდენილ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება სამართლებრივი ნორმების და დათქმების გვერდის ავლით, რაც არყევს ორგანიზაციის ინსტიტუციურ მდგრადობას და სათავეს უდებს სამართლებრივ და

ადმინისტრაციულ თავნებობას. ასეთი პროცედურული მიდგომით ზიანდება სამართლებრივი და პროფესიული პროცესები და სწორედ ასეთი გადაწყვეტილებები ქმნის ინსტიტუციურ კრიზისებს. მაგალითად, მაუწყებლის დირექტორმა, მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს გვერდის ავლით და მრჩეველთა საბჭოს მიკუთვნებულ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე, ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება მაუწყებლის ადმინისტრაციის შექმნის და მისი უფროსის დანიშვნის თაობაზე (N 02-05/05) რაც სრულიად სცდება დირექტორის კომპეტენციას და უფლებამოსილებას. დირექტორი არ არის უფლებამოსილი შეცვალოს დებულებით განსაზღვრული საშტატო განრიგი და სტრუქტურული იერარქია. მაუწყებლის დებულება არის მაღალი ლეგიტიმაციის დოკუმენტი, მისი დამტკიცება მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილებაა და დებულებით განსაზღვრული სამსახურების საქმიანობის წესი, მათი იერარქიული დაქვემდებარება და უფლებამოსილება შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ დებულებით. დირექტორის ბრძანება ახალი სამსახურის შექმნის და მასში იერარქიულად დებულებით განსაზღვრული სამსახურების დაქვემდებარების თაობაზე არის უფლებამოსილების გადამეტება და არ ჯდება მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ინსტიტუციური მოწყობის და უფლებამოსილებების განსაზღვრის ფარგლებში. აღნიშნული გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ დირექტორი არაფრად მიიჩნევს საკანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილების საზღვრებს და თვითნებურად გადადის მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მრჩეველთა საბჭოს მიმართ მის უპატივცემულობას. ამავე კატეგორიის გადაწყვეტილებას მიეკუთვნება დირექტორის განცხადება (2019 წლის 25 იანვრის სხდომა) იმის თაობაზე, რომ თუ მრჩეველთა საბჭო არ დათანხმდება საშტატო თანამშრომლებისთვის ხელფასების გაზრდაზე დირექტორის მიერ წარმოდგენილი პროექტით, ის საშტატო ტანამშრომლებს გადაიყვანს არასაშტატო ხელშეკრულებებზე და ასე გაუზრდის მათ ხელფასებს. მსგავსი დამოკიდებულებები, ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ დირექტორი ხშირად მიდის უფლებამოსილების გადამეტების გზით და არ სცემს პატივს კანონით განსაზღვრულ სტრუქტურულ ერთეულებს. ამის დასტურია ასევე მაუწყებლის დებულებით განსაზღვრული კოლექტიური ორგანოების საქმიანობის შეჩერება, რომელთა შეკრებისა და საქმიანობის შეწყვეტა მენეჯმენტმა გამოცემული ბრძანებით გადაწყვიტა, რაც არის მაუწყებლის დებულების და საქმიანობის ნორმების უპატივცემულობა.

სრულიად დაუმეგობელია მსგავსი გადაწყვეტილებებით ხელმძღვანელობა და კომუნიკაციის ასეთი ფორმით საუბარი მრჩეველთა საბჭოსთან. ინსტიტუტების მდგრადობა, მიღებული ნორმების პატივისცემა და ამ ნორმებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედება და საქმიანობა იწვევს იმ ტიპის ნდობას, რომელიც აუცილებელია მაუწყებლის, როგორც მაკონტროლებლის და კანონის სადარაჯოზე მყოფი ორგანიზაციის როლის შესასრულებლად.

## ორგანიზაციული და ადამიანური რესურსების მართვის კრიზისი

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს მოწყობიდან გამომდინარე, მაუწყებელში მიმდინარე ოპერატიულ და მმართველობით პროცესებზე პასუხისმგებელი პირი არის დირექტორი და ის ანგარიშვალდებულაა მრჩეველთა საბჭოს წინაშე ყველა საკითხზე, რომელიც კანონის საფუძველზე დელეგირებულია დირექტორზე. მნიშვნელოვანია, რომ მაუწყებლის ხელმძღვანელმა მოახერხოს ყველა მიმდინარე და ოპერატიული საკითხის კანონის ფარგლებში და მაღალი პროფესიონალიზმით გადაწყვეტა, ამ თვალსაზრისით კი სრულიად დაუშვებელია რაიმე ფორმით მაუწყებელში დასაქმებულების შრომითი და სამოქალაქო უფლებების რაიმე ფორმით შეზღუდვა და ამ საკითხისადმი დისკრიმინაციული მიდგომა. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში გავრცელდა მაუწყებლის თანამშრომლების მომართვიანობა მრჩეველთა საბჭოსადმი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ თანამშრომლებმა ვერ მოახერხეს საკუთარი შრომითი თუ სამოქალაქო უფლებების დაცვა დირექტორთან და მაუწყებლის მენეჯმენტის მიმართ საკითხების სამართლიანად და კანონის ფარგლებში მოგვარების ნდობა არ არსებობს. თანამშრომლების მხრიდან მრჩეველთა საბჭოსადმი მომართვიანობები ატარებს როგორც ფორმალურ ისე არაფორმალურ ხასიათს. ფორმალური და დოკუმენტურად დასაბუთებული მომართვიანობის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ყველა მომართვა არის სრულიად დასაბუთებული და პირებს, რომლებსაც აქვთ პრეტენზიები მენეჯმენტის მიმართ, გააჩნიათ სრულიად სამართლიანი შენიშვნები და მენეჯმენტი ვერ ახერხებს მათი სამართლიანი მოთხოვნების შესრულებას. სრულიად დაუშვებელია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორმა შეზღუდოს რომელიმე თანამშრომლის შრომითი თუ სხვა უფლებები, ვერ მოახერხოს წარმოქმნილი საკითხების სამართლიანად და კანონის ფარგლებში გადაჭრა და მაუწყებლის თანამშრომლები თავიანთ სამართალს ეძებდნენ ან მრჩეველთა საბჭოსთვის და სხვა გარე ინსტიტუტებზე მიმართვის გზით. სრულიად მისაღები იქნებოდა მენეჯმენტის პოზიცია იმ შემთხვევაში თუკი გამოიკვეთებოდა, რომ მრჩეველთა საბჭოზე მომართვიანობა ატარებს დაუსაბუთებელი და უსამართლო პრეტენზიების ხასიათს, თუმცა, სამწუხაროდ გვაქვს სრულიად საპირისპირო სურათი, ყველა ფორმალური თუ არაფორმალური მომართვა არის დასაბუთებული და სამართლიანი, უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი ეხება ელემენტარულ ეთიკურ საკითხებსაც კი. სამწუხაროდ მაუწყებლის მენეჯმენტმა, მაუწყებლის განკარგვაში არსებული საკმარისი რესურსების გამოყენებით და მასზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ვერ მოახერხა ძალიან მარტივი მენეჯერული ამოცანების გადაჭრა, რითიც შექმნა ადამიანური რესურსების მართვაში კრიზისი და ხელი შეუწყო თანამშრომელთა დემოტივაციის და გუნდის დეზინტეგრაციის პროცესს. მიუღებელია ორგანიზაციული კრიზისის არსებობა მაუწყებელში, ამ ფორმით ტელევიზია და რადიო ვერ იქნება საზოგადოებისთვის საინტერესო ამოცანების გადაჭრაზე ორიენტირებული.

## შრომითი კონტრაქტების სრულიად დაუსაბუთებელი ხარჯები / ცალმხრივი გადაწყვეტილებები

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიზნებიდან გამომდინარე შესაძლებელია მაუწყებელმა გააფორმოს შრომითი კონტრაქტები იმ პოზიციებზე, რომლებიც არ არის განსაზღვრული საშტატო განრიგით და რომელთა შესრულება უნდა მოხდეს მაუწყებლის ხანგრძლივადიანი და/ან მუდმივმოქმედი ამოცანებიდან გამომდინარე. დირექტორის მიერ ხშირად ხდება ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვოლუნტარისტური გადაწყვეტილებების მიღება რაც არის არაპროფესიონალური და არ შეესაბამება საჯარო ფინანსების ხარჯვის პრინციპებს. არის შემთხვევები, როდესაც ხდებოდა პირის დაქირავება კონკრეტული სამსახურის დაქვემდებარებაში, ისე რომ სამსახურის უფროსი, რომელსაც დავალება უნდა მიეცა დაქირავებულისთვის, საერთოდ არ იყო საქმის კურსში, შესაბამისად გაურკვეველია რა დავალების შესრულებისთვის ან რა ამოცანების შესასრულებლად დებულობდნენ აღნიშნული დაქირავებული პირები ანაზღაურებას. ნებისმიერი ტიპის გადაწყვეტილება, მითუფრო თუ ეს ეხება შრომით სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლას მოქალაქესთან და მისთვის საჯარო ფინანსების გადახდას, უნდა იყოს დასაბუთებული, უნდა ხდებოდეს პროფესიონალურად და დაუშვებელია ამ მხრივ ვოლუნტარიზმი ან რაიმე სახით ერთპიროვნული, ცალმხრივი გადაწყვეტილებების მიღება. მსგავსი თვითნებობა შეიძლება შრომითი ხელშეკრულებების უკვე მოქმედ თანამშრომლებთან გამფორმებისა და მართვის კუთხით. ბევრ კითხვას აჩენს გაფორმებული ხელშეკრულებების ხელახლა გაფორმების ან ვადების გახანგრძლივების სამართლებრიობა. ხშირად ხდება, რომ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები არის ცალმხრივი, არ არის დასაბუთებული, შეცვლილი პრიობები კი არ არის შეთანხმებული დაქირავებულებთან რაც შრომით ურთიერთობებში ქმნის გაურკვეველობას და ადამიანური რესურსების მართვაში კი კრიზისებს.

## გადაცემები ხელშეკრულებების და სამართლებრივი ბმის გარეშე

ტელევიზიისა და რადიოს ეთერი უნდა ასახავდეს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს და მისი მართვა უნდა ხდებოდეს ტელევიზიისა და რადიოს სამაუწყებლო და სარედაქციო პოლიტიკის პრინციპების გათვალისწინებით. წარმოუდგენელია, რაიმე ტიპით ხდებოდეს ეთერის გამოყენება და ამას წინ არ უძღვოდეს შესაბამისი სამართლებრივი და სამაუწყებლო მოთხოვნების დასაბუთება. როგორც მაუწყებელში არსებული დოკუმენტაციით ირკვევა, ხდება ტელევიზიის ეთერის სამაუწყებლო პროცედურების დარღვევით მართვა და არსებობს თემები და

გადაცემები, რომლებიც არ არის სამართლებრივ კავშირში ტელევიზიასთან, რაც მიუთითებს ეთერის თვითნებურ, სამაუწყებლო და სამართლებრივი პროცედურასთან აცდენილ მართვაზე. გაურკვეველია ზოგიერთი გადაცემის და თემის დაფინანსების წარმომავლობა, მით უფრო, როდესაც ასეთი ტიპის დაფინანსებები არ აისახა მაუწყებლის ბიუჯეტში და არ მიუღია მრჩეველთა საბჭოს თანხმობა. მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი ტიპის გარე დაფინანსება ან დაკვეთა გადაცემების ან თემების მომზადებაზე მიმდინარეობდეს გამჭვირვალედ და ექვემდებარებოდეს საზოგადოებრივი კონტროლს, შესაბამისად, მრჩეველთა საბჭოს თანხმობა ასეთი ტიპის გადაწყვეტილებებზე სავალდებულოა როგორც სამართლებრივად ისე საზოგადოებრივი კონტროლის თვალსაზრისითაც. დღეის მდგომარეობით გვაქვს მოცემულობა, როდესაც არსებობს სატელევიზიო და რადიო ეთერის უკონტროლოდ, არაგამჭვირვალედ მართვის საფრთხე და ამ თვალსაზრისით სუსტდება მრჩეველთა საბჭოს საზოგადოებრივი კონტროლის ფუნქცია. სრულიად დაუშვებელია გარე აქტორების და მენეჯმენტის მხრიდან, მრჩეველთა საბჭოს გვერდის ავლით რაიმე ტიპით გადაცემების დაფინანსება და ამით მაუწყებლის ინსტიტუციური სტრუქტურის შესუსტების მცდელობა.

#### პროფესიონალი და კომპეტენტური პირების მოსაზრებების უგულველყოფით ორგანიზაციის მართვა

მაუწყებლის დირექტორი ხშირად ღებულობს ერთპიროვნულ და ცალმხრივ გადაწყვეტილებებს ისეთ საკითხებზე, რომელთა მოგვარების კომპეტენცია მას არ გააჩნია, რითიც ზარალდება ტელევიზიისა და რადიოს ეთერი და რომლებიც ნეგატიურად აისახება მაუწყებლის კონკურენტულ პოზიციებზე. ასეთი გადაწყვეტილებების რიგს მიეკუთვნება საბავშვო გადაცემის გაშვების გადაწყვეტილებაც. აღნიშნულ გადაცემასთან დაკავშირებით არსებობდა ორი შესაბამისი სამსახურის (საავტორო შემოქმედებითი სამსახურისი და მაუწყებლობის განვითარების სამსახურის) უფროსების წინსმწრები მოხსენებები, რომ გადაცემის ხარისხი, შინაარსი და მხატვრული შესრულება არ შეესაბამებოდა არც მაუწყებლის აუდიტორიის ინტერესებს და არც თანამედროვე მაუწყებლობის სტანდარტებს და ასეთი გადაცემის ეთერში განთავსება დაუშვებელი იყო. მიუხედავად ამისა, პროფესიონალების პოზიციების გაუთვალისწინებლად, დირექტორმა აღნიშნული გადაცემა მაინც გაუშვა ეთერში. საბოლოოდ კი, პროფესიონალების და აუდიტორიის კრიტიკული და მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების გამო იძულებული იყო შეეჩერებინა მისი ჩვენება. მსგავსი არაპროფესიონალური მართვის სტილი არყვეს მაუწყებლის მდგრადი განვითარების შესაძლებლობას და ხელს უშლის ტელევიზიის ლოიალური აუდიტორიის ჩამოყალიბებას, რომ არაფერი ვთქვათ აუდიტორიისთვის

მიწოდებული უხარისხო გადაცემებით გამოწვეული ნეგატიურ შედეგებზე. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ეხება აუდიტორიისთვის ტელე და რადიო პროდუქციის მიწოდებას მიღებული უნდა იყოს ტელევიზიისა და რადიოს შესაბამისი პროფესიონალების მოსაზრებების გათვალისწინებით და დასაბუთებული არგუმენტებით.

მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებრივი მაუწყებლის შინაარსობრივ ვალდებულებებს და წარმოადგენს სამაუწყებლოს პოლიტიკის ქვაკუთხედს, ცალსახად უთითებს, რომ სამაუწყებლო პროდუქციის არანაკლებ 25 % უნდა იყოს კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებული პროგრამები. ეს ნორმა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მაუწყებლის ეთერში იყოს მოსაზრებების და მხატვრული შემოქმედების მრავალფეროვნება, ეთერი ეთმობოდეს შემოქმედებითი და მედია მიმართულების ინტერესების მქონე ორგანიზაციებს, ასახული იყოს საზოგადოების მრავალფეროვნება და ხელი შეეწყოს შემოქმედებით თავისუფლებას. სამწუხაროდ ამ ნორმის რეალიზაციას უკვე დიდი ხანია ვერ ახერხებს მაუწყებელი, ხოლო ეთერში განთავსებული უცხოური ტელეპროდუქცია ვერ ჩაითვლება ამ ნორმის შესრულებად, რადგანაც არ პასუხობს აღნიშნული საკანონმდებლო ნორმის შინაარსს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის სტანდარტები უნდა იყოს მაღალპროფესიონალური, მაღალეთიკური და სრულ შესაბამისობაში მოდიოდეს კანონის მოთხოვნებთან. პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლები იმყოფებოდნენ სამართლებრივი, მორალური და პროფესიონალური სტანდარტების ავანგარდში და დაუშვებელია მათთვის იმ მორალური საფუძვლების გამოცლა, რომლებიც მათი საქმიანობის და წარმატების წინაპირობაა და მაუწყებლის მიერ საკუთარი ამოცანების ეფექტურად და უხარვეზოდ შესრულებას უზრუნველყოფს. სამწუხაროდ, ტელევიზიისა და რადიოს დღევანდელმა მენეჯმენტმა საფუძველშივე შეარყია საზოგადოებრივი მაუწყებლობის ფუნდამენტური პრინციპები და არაპროფესიონალური, ხშირ შემთვევაში კი კანონთან შეუსაბამო საქმიანობით საფრთხე შეუქმნა ორგანიზაციის განვითარებას და ტელევიზიისა და რადიოს მიმართ საზოგადოებრივ ნდობას. მსგავი ორგანიზაციული და სამართლებრივი კრიზისი ეჭვის ქვეშ აყენებს საზოგადოების მიერ

მაუწყებლისთვის გამოყოფილი საჯარო ფინანსების და საერთოდ ორგანიზაციის არსებობის მიზანშეწონილობას. დემოკრატიული ფასეულობების და კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვა, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივი მაუწყებლობა, უნდა იწყებოდეს საკუთრივ ორგანიზაციის შიგნით ამავე პრინციპების გაზიარებით და არა მათი იგნორირებით.